საქართველოს მთავრობის განკარგულება

N2457 2014 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გრანტის მიღების შესახებ დოკუმენტის პროექტის მოწონების თაობაზე

„აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) ქვეკონტრაქტორ კომპანია „CH2MHILL“-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე დაფინანსებული

საქართველოს ფინანსთა, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 128443
29 12 2014 წ.
ფურცელი
2

საგრანტო პროექტი (თემაზე: კომუნალური, უსაფრთხოებისა და სხვა მიზნობრივი სერვისების ხარჯების დაფარვა TADR–ის სამომსახურეო ხარჯების უზრუნველყოფით, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა (NCDC) და მის დაქვემდებარებულ ქუთაისის, ბათუმის (ZDL), გორის, თელავის, ახალციხის, ზუგდიდის, ამბროლაურის, ფოთის, ოზურგეთის (LLS) ლაბორატორიებში).

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის ადміністрაციის
და სრულიადმოქალაქეთა
№ 106482
27 10 2014
2
ნუ 8

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1894 2014 წლის 23 ოქტომბერი ქ. თბილისი

„იაპონიის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის 500,000,000 (ხუთასი მილიონი) იაპონური იენის ოდენობის არასაპროექტო გრანტის შესახებ“ ნოტების გაცვლის გზით ხელმოწერილი შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობის სახელით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემას (JICS) შორის „იაპონიის არასაპროექტო საგრანტო დახმარების ფარგლებში შესყიდვის მომსახურების გაწევის თაობაზე იაპონური მოწინავე პროდუქციისა და მისი სისტემების (სამედიცინო აღჭურვილობა და კეთილდღეობის აპარატურის პაკეტი) მოწოდების მიზნით“ სააგენტოს მომსახურების გაწევის თაობაზე გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№717 2014 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გრანტის მიღების შესახებ დოკუმენტის პროექტის მოწონების თაობაზე

„აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და აშშ-ს თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების საფუძველზე დაფინანსებული საგრანტო დოკუმენტის პროექტი (თემაზე: სტაბილური იმუნოდიაგნოსტიკის შექმნა (განვითარება)GG-23.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

№1
საქართველოს მთავრობის
რეფერენტი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
24 04 2014 №
4444
01 6-4

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№741 2014 წლის 30 აპრილი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გრანტის მიღების შესახებ დოკუმენტის პროექტის მოწონებისა და გრანტის მიღებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა და აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდს (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) შორის „საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით“ პროგრამის ფარგლებში გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
30 № 43966
04 2014 წ.
4 ფურცელი

6-4

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინადადებების საფუძველზე, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის დამტკიცებულ პროგრამულ კლასიფიკაციას დაამატოს პროგრამული კოდი „საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით" (პროგრამული კოდი - 35 03 03 14) და განახორციელოს ცვლილებები კვარტალურ განწერაში.

3. გრანტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2014 წლის 1 აპრილი.

4. ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული თარიღიდან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყოს სერვისის მიმწოდებლების მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

5. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა,

აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდთან (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) გაფორმებული GEO-H-NCDC ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტის (საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პრევენციის მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების მხარდაჭერა, აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სიცოცხლის მაჩვენებლების გაუმჯობესება მკურნალობისა და მოვლის ღონისძიებების გაძლიერების გზით) ფარგლებში, 2014 წლის განმავლობაში პროგრამით მოსარგებლეთა სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებამდე ან/და ახალი მიმწოდებლების გამოვლენამდე, შესაბამისი მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, იმავე მიმწოდებლებთან (გრანტის პირველ ფაზაში მონაწილე ორგანიზაციები).

6. აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდსა (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში დონორის მიერ განსაზღვრული ფარმაცევტული და სხვა სამედიცინო პროდუქტის შესყიდვა განხორციელდეს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) მიერ განსაზღვრული საერთაშორისო შესყიდვის აგენტის საშუალებით.

7. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა ამ განკარგულების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება უზრუნველყოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

8. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს უფლება მიეცეს, მიიღოს და საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში მონაწილე სუბიექტებს, პროგრამის მიზნებისთვის, დროებით სარგებლობაში გადასცეს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალური ფონდის (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) დაფინანსების ფარგლებში შეძენილი ქონება, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის.

9. უფლება მიეცეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ხელი მოაწეროს აივ ინფექციის/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდთან (The Global Fund to Fight AIDS, Tuberculosis and Malaria) GEO-H-NCDC ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრანტის შეუფერხებელ განხორციელებასთან დაკავშირებულ მხარდაჭერის დოკუმენტს.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№634 2014 წლის 10 აპრილი ქ. თბილისი

აფხაზეთის ა/რ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქონების გრანტის სახით გაცემისა და ამ მიზნით გასაფორმებელი „საგრანტო ხელშეკრულების" პროექტის მოწონების თაობაზე

„გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-4 და მე-5 მუხლებისა და „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების 1[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. აფხაზეთის ა/რ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, გრანტის სახით გაიცეს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 37150
„10" 04 2014 წ.
3 ფურცელი

ᲛᲧ

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული შემდეგი მოძრავი ქონება და ინვენტარი:

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარებში)	თანხა
1	საოპერაციო საველე მაგიდა-	ცალი	1	150,00	150,00
2	საოპერაციო ნაკრები	ცალი	1	90,00	90,00
3	პოლიკლინიკური ნაკრები	ცალი	2	100,00	200,00
4	პულსოქსიმეტრი (KTPS – 01)	ცალი	1	495,80	495,80
5	„ISUZU NOVO“ მოდელის ავტომობილი (გამოშვების წელი 2012, საიდენტიფიკაციო ნომერი NNAMOLVLN02000067, სარეგისტრაციო ნომერი JKJ-051), მობილური სტომატოლოგიური კაბინეტით	ცალი	1	151330,00	151330,00

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1437 2013 წლის 9 ოქტომბერი ქ. თბილისი

აფხაზეთის ა/რ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქონების გრანტის სახით გაცემისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გაეროს (გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „დიალოგის საკოორდინაციო მექანიზმი") შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე

„გრანტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე-4 და მე-5 მუხლებისა და „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების 1[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. აფხაზეთის ა/რ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ორი ერთეული „ფიატ დუკატო მაქსის" მოდელის ავტომობილი (გამოშვების წელი 2012, საინდენტიფიკაციო NZFA25000002195029, საბალანსო ღირებულება 77095,34 ლარი; გამოშვების წელი 2012, NZFA25000002201854, საბალანსო ღირებულება 90335,00 ლარი) გაიცეს გრანტის სახით.

2. გრანტის მიმღებად განისაზღვროს საერთაშორისო ორგანიზაცია - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, წარმოდგენილი (გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) „დიალოგის საკოორდინაციო მექანიზმის") პროექტის სახით.

3. გრანტის მიზანია აფხაზეთის ა/რ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.

4. მოწონებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და გაეროს (გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „დიალოგის საკოორდინაციო მექანიზმი") შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტი. ამასთან, ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან დააკორექტირონ ხელშეკრულების პროექტი საჭიროებისდა მიხედვით, საქართველოს მთავრობასთან დამატებითი შეთანხმების გარეშე, თუ მისი შინაარსი არ უკავშირდება გრანტის (დახმარების) გაცემის შინაარსთან ან ბენეფიციარების ცვლილებას.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 111496
"10" 10 2013 წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარია
№ 1

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**

საქართველოს მთავრობის

განკარგულება

N1945 2012 წლის 22 ნოემბერი ქ. თბილისი

ევროპის კავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის 2011 წლის 14 ნოემბრის დაფინანსების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ზოგიერთ ღონისძიებათა უზრუნველყოფის შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაცია ევროპის კავშირსა და საქართველოს მთავრობას შორის 2011 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულებით („საქართველოში რეგიონული განვითარების რეფორმის მხარდაჭერა") განსაზღვრული საბიუჯეტო დახმარების მესამე ტრანშის (6.0 მლნ ევრო) ჩამორიცხვის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

2. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ კომპეტენციის

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 94895
„26" 11 2012 წ.
2

ფარგლებში უზრუნველყონ ზემოაღნიშნული დაფინანსების ხელშეკრულებით საბიუჯეტო დახმარების მესამე ტრანშისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულება.

3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ:

ა) განახორციელოს ზემოაღნიშნული დაფინანსების ხელშეკრულებით საბიუჯეტო დახმარების მესამე ტრანშისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების პროცესის კოორდინაცია;

ბ) ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სამინისტროების წარმომადგენელთა მონაწილეობით შექმნას შესაბამისი საბუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული დაფინანსების ხელშეკრულებით საბიუჯეტო დახმარების მესამე ტრანშისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას და წინადადებების წარმოდგენას სათანადო ღონისძიებათა განხორციელების მიზნით.

პრემიერ-მინისტრი ნიკოლოზ გილაძე

საქართველოს მთავრობის

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1693 2012 წლის 6 სექტემბერი ქ. თბილისი

„კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების მიზნით გრანტის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №180 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში გრანტის გაცემის შესახებ ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების 1[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს „კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების მიზნით გრანტის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №180 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში საქართველოს შრომის,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 70596
„06“ 09 2012 წ.
2 ფურცელი

6.10

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გრანტის გაცემის შესახებ ხელშეკრულების პროექტი.

2. „კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების მიზნით გრანტის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №180 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამით გათვალისწინებული გრანტის დაფინანსება განხორციელდეს „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების საგრანტო პროგრამისათვის“ (პროგრამული კოდი – 35 03 04 03) გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერა **ივანე მერაბიშვილი**